



წელი



საქმიანობის შესახებ

2016 წელს კასპის შპმ პირთა კავშირის ბაზაზე დაფუძნდა შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმო „წელი“. მათი **სოციალური მისიაა** კასპის რაიონში მცხოვრები შპმ პირებისა და სოციალურად მონყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მათი სამუშაო უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა. შპმ პირთა სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური ჩართულობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საწარმოს მთავარი ორიენტირია.



პროდუქცია

სოციალური საწარმო ბუნებრივად მოპოვებული რესურსისგან (ნედლეულისგან) ამზადებს არქაული ტიპის აქსესუარებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ინტერიერსა და ექსტერიერზე გათვლილ პროდუქციას. ეს არის ტრადიციულისა და თანამედროვე დიზაინის კომბინაცია, მორგებული ყველა თაობისა და გემოვნების მომხმარებელზე, რაზეც ნაწარმის ხარისხი, ნაირსახეობა და ფართო არჩევანიც მეტყველებს. ამ ეტაპზე საწარმოში მზადდება რამდენიმე სახის დაწნული პროდუქცია, კერძოდ:

- თეფში
- სახილე
- კალათი
- სუნდუკი
- სანათი
- სკივრი
- მონწული ბოთლი





სოციალურ სანარმოში ასევე მზადდება განსხვავებული ინტერიერის ნივთები, აქსესუარები და ავეჯი.

სოციალური შედეგები

- 2017 წელს სოციალურმა სანარმომ ადგილობრივ შპს კირებს შეასწავლა წნული პროდუქციის დამზადების ტექნიკები და გადამზადებული კირებისგან ხუთი ბენეფიციარი დასაქმდა ადგილზე
- „წნული“ თავისი არსებობითა და უკვე მიღებული შედეგებით ამტკიცებს, რომ არსებობს შეზღუდული გარემო, შესაძლებლობები კი- არა



+995 551 773 774



tsnuli.ts0@gmail.com



<https://bit.ly/2BHKo14>



გრიშაშვილის N4, კასპი, საქართველო

